№2393 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

ასპინძის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ასპინძის მუნიციპალიტეტს, დაბა ასპინძაში საჭიდაო დარბაზის და კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 იანვრის №41 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის - 273 600 (ორას სამოცდაცამეტი ათას ექვსასი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**